

ადმინისტრაციული ხელშეკრულება და კერძოსამართლებრივი
ხელშეკრულებიგან მისი გამიჯვნის პრობლემატიკა

ზაზა ციციშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის*

მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ კორძია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

*როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს
ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ,
გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ
არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ზაზა ციციშვილი

05.07.2021

აბსტრაქტი

სახელწმიფო თავის მართველობით საქმიანობას ახორციელებს სხვადასხვა ფორმის მეშვეობით. ადმინისტრაციული სამართალი წარმოადგენს სამართლის იმ დარგს, რითაც წესრიგება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, მართველობითი ფუნქციის განხორციელება. სამართლის ამ ნორმების ერთობლიობა, უმეტეს შემთხვევაში თავმოყრილი და კოდეიფიცირებულია ადმინისტრაციულ სამართლის კოდექსში. კოდექსით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ორგანოების მართველობის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის ადმინისტრაციული აქტი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება და სხვა. ამასთან ერთად, კოდექსი ზღუდავს საქმიანობის იმ ფორმებს, რისი გამოყენებაც შეუძლია ადმინისტრაციულ ორგანოს. ორგანოს შეუძია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება. მათ შორისაა კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების დადება.

სწორედ ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების ერთმანეთისგან სათანადო გამიჯვნის პრობლემას ვხვდებით რიგ შემთხვევებში, რაც გამოწვეულია მათი გამიჯვნის კრიტერიუმების ბუნდოვანებით. სათანადო გამიჯვნა მნიშვნელოვანია იმისთვის რომ დავის შემთხვევაში სწორად დადგინდეს, თუ რომელი სასამართლოს კომპეტენციაშია მისი განხილვა და სამართლის რომელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული, ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო. მოცემული ნაშრომს მიზანს წარმოადგენს არსებული სასამართლო პრაქტიკის და კანონმდებლობის საფუძველზე გამიჯვნის კრიტერიუმების დადგენა.

საძიებო/საკვანძო სიტყვები : ადმინისტრაციული ხელშეკრულება, კერძო ხელშეკრულება, ადმინისტრაციული აქტი, ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამიჯვნა, საჯარო პოლიტიკა,

Abstract

The state carries out its activities through various forms. The Administrative law is the part of the law that regulates the exercise of an administrative functional activities by administrative bodies. The set of these norms of law is, in most cases, compiled and codified in the Code of Administrative Law. The Code provides for various forms of administration of administrative bodies, including an administrative act, an administrative contract and others. In addition, the Code restricts the forms of activities that can be used by an administrative body. The administrative body can only carry out activities directly provided by law. These include concluding private legal contracts.

It is the problem of proper distinction of administrative and private contracts that we encounter in a number of cases, which is caused by the ambiguity of the criterias for their proper distinction. Proper distinction is important in order to properly determine in the event of a dispute which court has jurisdiction and competence to hear it and whether the court should use norms of civil or administrative law. The purpose of this paper is to establish distinction criterias based on existing case law and currnet legislation.

Keywords: Administrative contract, Private contract, Administrative Act, Distinction of Admiinstrative Contract, Public Policy